მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების საბითუმო დაშვების პირობები

ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია აწარმოოს მოლაპარაკებები შესაბამის ქსელზე დაშვების ყველა მსურველ MVNO ოპერატორთან, სამართლიანი და არადისკრიმინაციული პირობებით (მიუხედავად იმისა MVNO იქნება ახალი შემომსვლელი, თუ ბაზარზე უკვე არსებული მოთამაშე);

შესაბამის ქსელზე საბითუმო დაშვების შეთანხმების ფარგლები და პირობები არ უნდა იწვევდეს დისკრიმინაციულ შედეგებს მობილური ვირტუალური მომსახურების მიმწოდებლისთვის: აღნიშნული დაშვება გულისხმობს, რომ მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორს ეძლეოდეს შესაძლებლობა საკუთარ მომხმარებლებს მიაწოდოს ლიცენზიის მფლობელის სერვისის ანალოგიური მომსახურება როგორც მიწოდების ხარისხით, მოცულობითა და სიჩქარით, ისე გეოგრაფიული დაფარვის არეალით; ვალდებულება უნდა გავრცელდეს მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორების ყველა შესაძლო ალტერნატიული მოდელის მიმართ.

ლიცენზიის მფლობელმა ამ ლიცენზიის ფარგლებში უნდა უზრუნველყოს დაშვების მსურველთან მოლაპარაკების შეუფერხებლად წარმართვა და არ შეუქმნას დაშვების მსურველს ადმინისტრაციული, სამართლებრივი, ტექნიკური ბარიერები, რაც იმას ნიშნავს, რომ არ უნდა წამოაყენოს ისეთი პირობები, რომელთა შესრულებაც აუცილებელი არ არის შეთანხმების დადებისათვის და სატელეკომუნიკაციო სერვისის მიწოდებისთვის;

ლიცენზიის მფლობელმა უნდა გამოაქვეყნოს მოწვევის ოფერტა (რომელიც უნდა შეიცავდეს დაშვების პირობებს, გარდა ფასისა) წინამდებარე ლიცენზიით განსაზღვრულ სიხშირულ სპექტრში საქმიანობის დაწყებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა.

ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორთან დაშვების შესახებ ხელშეკრულება გააფორმოს მსურველი პირის მომართვიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში (თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან), ხოლო ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ამის შესახებ აცნობოს კომისიას. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება ექნებათ მომართონ კომისიას, რომელიც დავას განიხილავს მხარეთა მორიგების სულისკვეთებით.